ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №58, ტელ.: +995 599 18 24 25
ელ. ფოსტა: info.cageri@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

N 2-31
05/02/2019

31-07-4-201902051128

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N 654 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 1-ელი მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. „ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი პროექტების შერჩევის თაობაზე“ სოფლების თაბორისა და ღუს 2019 წლის 29 იანვარს ჩატარებული საერთო კრებების შესაბამისად წარმოდგენილი საპროექტო წინადადებებიდან შერჩეული იქნას სოფელ თაბორში სასმელი წყლის რეაბილიტაციის სამუშაოები, ხოლო სოფელ ღუში თავშეყრის ადგილის სარემონტო სამუშაოების განხორციელება.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცაგერის რაიონულ სასამართლოში (რუსთაველის ქ. N 69).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ავთანდილ უგრეხელიძე

მუნიციპალიტეტის მერი
.